

შპს „მადერა ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. შესავალი	3
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
4. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
6. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები	8-17

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მადერა ჯორჯია“ (ს.კ. 212821008) შეიქმნა (დაარსდა) 2004 წლის 04 მარტს, იურიდიული მისამართი: ქ.ქუთაისი, ნიკეას 1-ლი შესახვევი #7. საზოგადოება დაარსების დღიდან ეწევა მეორადი (ექსპლოატაციაში) ნამყოფი ხის მასალებისგან სხვადასხვა პროდუქციის დამზადება-გაყიდვას ისრაელში და ნიდერლანდებში ამზადებს ავეჯს საოფისედ, სასტუმროებისა და რესტორნებისათვის ინდივიდუალური დაკვეთებით ადგილობრივი დამკვეთებისათვის. ამჟამინდელ საქმიანობასაც წარმოადგენს: მეორადი(ექსპლოატაციაში ნამყოფი) ხის მასალისაგან სხვადასხვახის დეტალების დამზადებას (ავეჯის კედლის ხის დეკორი მუხის და წაბლის ხისაგან, მუხის ხის სხვადასხვა დეტალებს იატაკისათვის) და აწარმოებს ავეჯს ოფისებისათვის.

შპს „მადერა ჯორჯია“ არის კერძო საკუთრება, დამფუძნებელი პარტნიორია დავითი ქარქაშაძე (პ.ნ. 60002002551), დირექტორი ბესიკ მატკავა (პ.ნ.62005010495)

საზოგადოების მიწის ფართობია 5961 კვ.მ (ს.კ. 03.04.32.106) რომელზედაც განთავსებულია: საოფისე, საწარმოო პროცესებისათვის განკუთვნილი, ნედლეულის და მზა პროდუქციისათვის განკუთვნილი შენობები, აგრეთვე დაუმთავრებელი მშენებლობები ლითონის ნაკეთობების საწარმოებლად და სალაქავი შენობი. სულ შენობების ფართია 3085 კვ.მ. 06.05.2021 წელს კომპანიამ აუქციონის წესით შეიძინა არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი 14050 კვ.მ.(ს.კ. 03.05.24.862) მდებარე ქ.ქუთაისი, სულხან-საბას 19 დ-ს მიმდებარედ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართია 4122,29 კვ.მ. 29,05,2023 ისევ აუქციონის წესით შეიძინა 273 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს.კ. 03.05.28.602) მდებარე ქ.ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი #75-ის მიმდებარედ.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები არ გააჩნია.

შპს მადერა ჯორჯია

2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2022	31/12/21	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	179691	12220	367
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	26828	42415	19991
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	820	55763	179529
მარაგები	4	993415	478219	384178
მზა პროდუქცია		51670	51670	51670
სხვა		941745	426549	332508
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	16309	0	8016
ძირითადი საშუალებები	6	2570736	1621650	919872
სულ აქტივები		3787799	2210267	1511953
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	65358	24852	22898
ანარიცხები		9878	4350	540
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2942	16820	8793
საგადასახადო ვალდებულებები		6670	2968	1871
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		3383528	1514952	719919
სხვა ვალდებულებები	8	134290	2130	52830
სულ ვალდებულებები		3602666	1566072	806851
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		243000	1000	200000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-89431	611631	473538
გადაფასების რეზერვი		31564	31564	31564
სულ საკუთარი კაპიტალი		185133	644195	705102
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3787799	2210267	1511953
სულ მოკლევადიანი აქტივები		1217063	588617	592081
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		219138	51120	86932

შპს „მადერა ჯორჯია“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ბესიკ მატკავა

ნანი ჩაჩანიძე

3. შპს მადერა ჯორჯია

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები		31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	9	1148130	1489102
მომსახურების გაწევიდან		246	1411
სხვა		1147884	1487691
გაყიდვების თვითღირებულება	10	-657653	-693889
საერთო მოგება		490477	795213
დასაქმებულთა ანაზღაურება		-228112	-174319
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-143906	-52862
საპროცენტო ხარჯი		-342499	-133005
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-438560	-282082
სულ საოპერაციო ხარჯები		-1153077	-642268
საოპერაციო მოგება		-662600	152945
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		-38462	-14852
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-701062	138093
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		-701062	138093
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-701062	138093
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		644195	705102
კაპიტალის სხვა ცვლილებები		242000	-199000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		185133	644195

შპს „მადერა ჯორჯია“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ბესიკ მატკავა

ნანი ჩაჩანიძე

შპს მადერა ჯორჯია

4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
31.12.2020	200000	473538	31564	705102
პერიოდის შედეგი ზრდა (+) შემცირება	-199000	138093		-60907
31.12.2021	1000	611631	31564	644195
პერიოდის შედეგი ზრდა (+) შემცირება	242000	-701062		-459062
31.12.2022	243000	-89431	31564	185133

შპს „მადერა ჯორჯია“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ბესიკ მატკავა

ნანი ჩაჩანიძე

5. შპს „მადერა ჯორჯია“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2022 წ.	2021 წ.
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობად:		
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	1965972	1411810
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-3296829	-1742765
გაცემული შრომის ანაზღაურება	-201002	-123481
დაბრუნებული ან გადახდილი გადასახდები (მოგების გადასახადის გარდა)	9338	12512
გადახდილი მოგების გადასახადი	0	0
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-72858	-10180
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	-1595379	-452104
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:		
თანადაფინანსებიდან	71136	26892
მოკლევადიანი სესხების აღება	0	300000
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	0	-300000
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება	2300000	1749665
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	-431423	-963457
გადახდილი პროცენტები	-342499	-133004
დამფუძნებლის მიერ თანის შემოტანა (-გატანა)	242000	-199000
საფინანსო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	1839214	481096
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	-76364	-17138
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	167471	11854
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წლის დასაწყისისათვის:	12220	366
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წლის ბოლოსათვის:	179691	12220

შპს „მადერა ჯორჯია“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ბესიკ მატკავა

ნანი ჩაჩანიძე

6. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 2018 წლის რედაქციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება ზარალზე.

უცხოური ვალუტის გადაფასება

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 /12/ 2022წ	31 /12/ 2021წ	31/12/2020
1 USD/GEL	2.7020	3.0976	3.2766
1 EURO/GEL	2..8844	3.5040	4.02333
RUB/ 100 რუსული რუბლი	3.6770	4.1479	4.4031

1. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადები ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელიც არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3- დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	179691	12219	367
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	1	0
სულ ფული და ფულის ექვივალენტი.	179691	12220	367

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარება მეგობა-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღმა შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	26515	42415
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	313	0
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26828	42415

3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

	31.12.2022	31.12.2021
გადახდილი ავანსები	820	55555
სხვა პირებზე გაცემული ავანსები	0	208
სულ სავაჭრო და სხვა მოტხოვნები	820	55763

4. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	3253	203
ნედლეული მასალები	820263	362908
საამშენებლო მასალები	49521	13098
დამხმარე მასალები	11536	3798
მზა პროდუქცია	51670	51670
სვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	57172	46542
სულ მარაგები	993415	478219

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ.საშუალებების თვით ღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გაუქვითავი გადასახადები და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყველა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის; გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

	შენიშვნა- ნაგებობები მიწით	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31.12.2020	700871	153900	43701	21400	919872
შეძენა	637010	110000		7630	754640
2020 წლის კორექტირება					0
ჩამოწერა					0
ცვეთა	20981	24277	5124	2480	52862
აფასება					0
ბალანსი 31.12.2021	1316900	239623	38577	26550	1621650
ყიდვა	530258	346978	117604	19460	1014300
გაყიდვა		6410	22392		28802
ჩამოწერა			3813	931	4744
ცვეთა	25663	48162	11926	3520	89271
აფასება-ჩამოფასება (+/-)					0
ბალანსი 31.12.2022	1821495	544849	162834	41559	2570737

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთი არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისთვის:

	სასარგებლო
ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება, ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურობისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთწლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდებასამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები უცხოელი მომწოდებლის მიმართ	65358	24852
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	65358	24852

7. სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზირებული ღირებულებით.

2022წ.

2021წ.

მოკლევადიანი სესხები	0	0
გრძელვადიანი სესხები	3383528	1514951
სულ მიღებული სესხი	3383528	1514951

კომპანიის მიღებული სესხების შედგება ბანკებისაგან მიღებული სახსრებისგან. სესხი მიღებულია ლარში. მიმდინარე წელს კომპანიამ ბანკის მოკლევადიანი სესხით არ უსარგებლია.

8. სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
ავანსად მიღებული თანხები	134290	2130
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	134290	2130

9. შემოსავლის აღიარება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლებისთვის წარმოადგენს სხვადასხვა სარემონტო საამშენებლო მომსახურების მიწოდება. გარდა ამისა, კომპანია შემოსავალს აგენერირებს იჯარიდან. თუმცა მთავარი შემოსავლის წყაროს სარემონტო საამშენებლო მომსახურების მიწოდება.

ფინანსური შემოსავალი

2022

2021

პროდუქციის რეალიზაციიდან	1147884	1487691
მომსაურებიდან	246	1411
სულ შემოსავალი	1148130	1489102

10. თვითღირებულება

ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელიარ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

	2022 წ	2021 წ
მასალა	638153	667026
ელ.ენერგია	15279	23653
წყალი	1388	1439
დასუფთავება	2833	1771
ჯამი	657653	693889

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წ	2021 წ
დაცვის მომსახურება	1627.08	1627.08
მანქანის დიზგნოსტიკა	754.41	499.15
სასტუმრო & სარესტორნო მომსახურება	1915.54	886.54
სოციალური დანარიცხები	5462.89	3113.36
შრომით უსაფრთხოების მომსახურება	2843.88	1126.26
მანქანის ხარჯი	16384.17	13616.27
ხანძარსაწინააღმდეგო ხარჯი	883.04	111.86
ნაღდზე გადახდის საკომისიო	34.61	30.34
საჯარო რეესტრი	306	410
საოფისე ინვენტარი	501.14	955.79
მომსახურება	1832.66	1337.74
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	0	150
მობილური საკომუნიკაციო მომსახურება	1824.57	959.08
სატელეკომუნიკაციო მომსახურება	1317.66	1316.81
დაზღვევა	3096.46	3256.86
საკანცელარიო ხარჯი	1158.43	40.23
ბანკის საკომისიო სთორიუდის შეთანხმებით	4351.06	2175.66
სხვა ხარჯები	18.64	11.44
კომპიუტერის ხარჯები	169.83	41.53
სხვა საგადასახადო ხარჯი	13195.94	8149.93
ბანკის საკომისიო	12505.56	10179.57
ფიტოსანიტარული მოსაკრებელი	880	1250
სხვა საერთო ხარჯი	3783.63	8474.07
საქვ ტანსაცმელი	1965.62	1685.13
ელ.გაყვანილობის ხარჯი	1997.17	4867.53
ელ.ენერგია	3819.8	5913.36
წყალი	347	359.79
დასუფთავება	708.32	442.7
პარკირება	33.9	0
1000 ლარამდე ჩამოწერილი მირ.საშ	2111.01	0
აუდიტორული მომსახურება	3000	0
სადენზიფიკაციო ხსნარი	360.61	0
ახალი პრიდუქციის ათვისება	350	0
დანადგარების რემონტი	145.69	0
სამივლინებო ხარჯი	4211.03	0
საკურიერო მომსახურება	172.35	935.42
სატრანსპორტო მომსახურება	118337.36	85235.18
მომსახურება	30349.61	310.67
წარმოების პროცესში გახარჯული მასალები	44872.03	18733.88
ოფისის ხარჯი	192.61	76.61
დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა	168.22	908.53
ხის მასალის ნარჩენები	34300.76	34544.01
ტექნოლოგიური პროცესების დროს გახარჯული მასალები	9798.95	6769.69
მომსახურება	10065	9550
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	86100.14	52028.85
ბირითადი საშუალების ჩამოწერა	3813.2	0
რემონტის დანახარჯები	67.8	0
რეკლამის ხარჯი	6424.21	0
	438559.59	282080.92

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულების მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, გარდა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოთა მიერ ტრაზაქციების ექვეშ დაყენება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები, კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა: მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოდელის დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას $(X/0.85 \cdot 15\%)$ 15%-იანი მოგების გადასახდით.

მოგების გადასახდის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველ საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 2018 წლის რედაქციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგებაში მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

შპს „მადერა ჯორჯია“

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



ბესიკ მატკავა

ნანი ჩაჩანიძე